საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1380 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 30 ივნისის №5/33115 გადაწყვეტილება, ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ელიაწმინდაში მდებარე 3119.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ობიექტი 1-ის (საკრებულოს შენობა), განაშენიანების ფართით - 222 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №62.01.53.002), ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

№1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი